შპს ,,ბილდეზერ”

მშენებლობის ორგანიზების პროექტი

(კორექტირებული პროექტის მიხედვით)



ქ. თბილისი, დიდი დიღომი, არქანჯელო ლამბერტის ქ. #31 ნაკვეთზე ს.კ. #01.72.14.040.817 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობაზე

თბილისი

2023 წ

შპს ,,ბილდეზერ”

მშენებლობის ორგანიზების პროექტი

(კორექტირებული პროექტის მიხედვით)

ქ. თბილისი, დიდი დიღომი, არქანჯელო ლამბერტის ქ. **# 31** ნაკვეთზე ს.კ. **# 01.72.14.040.817** მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობაზე

დირექტორი		გ. არველაძე
არქიტექტორი		გ. ხვიტია
შეადგინა		ნ. მურჯიკნელი

თბილისი
2023 წ

საერთო ნაწილი

კორექტირებული მშენებლობის ორგანიზების პროექტის შედგენას საფუძვლად დაედო:

- დავალება მოპ-ის შედგენაზე;
- კორექტირებული საპროექტო დოკუმენტაცია;
- საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევების მონაცემები;
- მშენებლობის რაიონის სიტუაციური გეგმა;
- მოთხოვნილებები მოპ-ის შედგენაზე თანახმად მომქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მარტის დადგენილება #255, მუხლი 18 ,,მშენებლობის ორგანიზების პროექტი'' და მუხლი 20 ,,მშენებლობის განხორციელების პროცესის რიგითობა და ეტაპები''.
- საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის #477 დადგენილებით გათვალისწინებული ტექნიკური რეგლამენტი სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ;
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 მაისის #361 დადგენილებით გათვალისწინებული ტექნიკური რეგლამენტი მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ;
- ამავე დროს მუნიციპალიტეტის არქიტექტორის სამსახური ავალდებულებს დამკვეთს სამშენებლო სამუშაოთა დაწყებამდე სამშენებლო მოედანზე იქონიოს სხვა საპროექტო დოკუმენტაციასთან ერთად პასუხისმგებელი პირის მიერ ხელმოწერილი მშენებლობის ორგანიზაციის პროექტიც.

განმარტებითი ბარათი

აღნიშნულ მისამართზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2021 წლის 04 ოქტომბერს გაცემილია მშენებლობის ნებართვა ბრძენებით №5620276, მშენებლობა დაწყებულია შეთანხმებული პროექტის მიხედვით, შესრულებულია კალენდარული გრაფიკით გათვალსწინებული სამუშაოების ნაწილი, კერძოდ პირველი რიგის სამუშაოების I და II ეტაპი და მეორე რიგის სამუშაოების III; IV; V ; VI და VII ეტაპი.

დამკვეთის მოთხოვნის საფუძველზე მოხდა შეთანხმებული პროექტში ცვლილებების შეტანა, კერძოდ შეთანხმებული პროექტში დაკორექტირდა საცხოვრებელი და საოფისე ფართები, კორექტირებულ პროექტით საოფისე ფართები განთავსებულია პირველი და მეორე სართულებზე, ხოლო დანარჩენი ათი სართული საცხოვრებელია. საცხოვრებლის რაოდენობის გაზრდამ გამოიწვია შემდეგი ცვლილებები: საჭირო გახდა მეტი მანქანის გაჩერება, ამიტომ შეიცვალა გენგეგმა, კერძოდ ტერიტორიაზე მოძრაობის სქემა და მანქანების განაწილება, ავტოსადგომზე შესასვლელი დარჩა იგივე, რაც მანამდე იყო, თუმცა შეიცვალა გასასვლელის ადგილმდებარეობა.

კორექტირებული პროექტი ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, დიდ დიღომში, არქანჯელო ლამბერტის ქ. #31-ში (ს.კ. 01.72.14.040.817) წითელ ხაზებში მოქცეულ ნაკვეთზე ფართობით 2824 მ^2 ახალი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობას და ნაკვეთზე არსებული შენობის (რომლის დემონტაჟიც მშენებლობის ბოლო ეტაპზეა გათვალისწინებული) ორგანიზების დაგეგმვას რიგითობისა და ეტაპების მიხედვით. ტოპოგეგმის მიხედვით ნაკვეთი ტრაპეციული ფორმისაა, ხასიათდება მცირედ დამრეცი რელიეფით, ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით 60 გრძივ მეტრზე ნიშნულებს (485,99-583,85) შორის სხვაობა 2,14 მეტრია. ნაკვეთის აღმოსავლეთის მხარეს არსებული სადემონტაჟო შენობა 9 მეტრითაა დაშორებული საპროექტო შენობას, მისასვლელი საავტომობილო გზა სტრაბონის და ა. ლამბერტის ქუჩიდანაა.

საინჟინრო გეოლოგიური დასკვნით საკვლევი უბნის და მიმდებარე ტერიტორიის შესწავლამ დაადგინა, რომ საშიში გეოლოგიური პროცესების კვალი არ აღინიშნება, უბანი მდგრადია და საპროექტო შენობის მშენებლობისათვის დამაკმაყოფილებელ პირობებში იმყოფება.

ნაკვეთის აღმოსავლეთის და დასავლეთის მხარეს მომიჯნავე მიწის ნაკვეთებია მათზე განრავსებული შენობებით, ხოლო სამხრეთის და ჩრდილოეთის მრიდან ესაზღვრება საზოგადოებრივი სივრცე (სტრაბონის და ლამბერტის ქუჩები).

კონსტრუქციული სქემით საპროექტო შენობა 13 სართულიანია, აქედან: 1 მიწისქვედა სართულია ავტოპარკინგის დანიშნულებით, ხოლო 12 სართული მიწისზედაა, დაპროექტებულია კარკასულ კონსტრუქციებში მონოლითური რკინაბეტონისაგან, საძირკველი ფილოვანი, სახურავი კი რკინაბეტონის კონსტრუქციის, მრავალშრიანი ბრტყელი გადახურვით.

შენობა მარტივი კონფიგურაციისაა გაბარიტული ზომებით ,,1-4'' და ,,ა-მ'' ღერძებში 15,80×47,80 მეტრი, შემავსებლად გამოყენებულია სამშენებლო ბლოკი.

კორექტირებული პროექტით საპროექტო შენობის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებია:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 2824.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 11642.5
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 10317.3
- .საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 5939.2
- .საოფისე ფართობი (კვ.მ).: 1210.1
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 1090.3
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 1325.0
- .დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 88.2
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 664.5
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 33219.1
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 30673.6
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 2545.5
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 44.54

- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 40.49
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 4.05

მაქსიმალური მალის სიგრძე 6,6 მ. საპროექტო ნული შეესაბამება აბსოლუტურ ნიშნულს 0.00=486,05 მ.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა ახალი კორექტირებული საპროექტო დოკუმენტაცია 2023 წლის 24 იანვრის ბრძანებით #6296505 შეითანხმა, რის საფუძველზეც შედგა ახალი კორექტირებული მშენებლობის ორგანიზების პროექტი და კალენდარული გრაფიკი ცალკეული ეტაპების მიხედვით თანახმად საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების მე-20 მუხლის შესაბამისობით შესასრულებელი და დარჩენილი სამუშაოების გაწერით.

კოტექტირებული პროექტით დარჩენილ სამუშაოთა დასრულებაზე მშენებლობის განხორციელების გეგმიური ხანგძლივობა განსაზღვრულია 24 თვის პერიოდით (იხ. კალენდარული გრაფიკი). მშენებლობის დასრულება გეგმიურ ვადებში შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ უწყვეტი ფინანსირების პირობებში, რასაც ხელი უნდა შეუწყოს ზომიერმა და რბილმა კლიმატურმა პირობებმაც.

1. სამუშაოების ორგანიზების რიგები და ეტაპები

II რიგის სამუშაოები:

VIII ეტაპი : კარკასის მზიდი კონსტრუქციების და კიბის უჯრედების ელემენტების მოწყობა მონოლითური რკინაბეტონით ნიშნულებში 18,90 – 25,20 მეტრი;

IX ეტაპი : კარკასის მზიდი კონსტრუქციების და კიბის უჯრედების ელემენტების მოწყობა მონოლითური რკინაბეტონით ნიშნულებში 25,20 – 31,50 მეტრი;

X ეტაპი : კარკასის მზიდი კონსტრუქციების და კიბის უჯრედების ელემენტების მოწყობა მონოლითური რკინაბეტონით ნიშნულებში 31,5 – 38,00 მეტრი;

მონოლითური რკინაბეტონის კარკასის დასრულების პარალელურად ყველა ღია ადგილი უნდა იყოს შემოსაზღვრული უსაფრთხოების ჯებირებით ან ბადეებით სანამ კედლები იქნება ამოყვანილი, ასევე აივნების გარეშე პერიმეტრიც. სასურველია ღამის განათების მოწყობა ფასადებზე.

XI ეტაპით გათვალისწინებულია - სახურავის, გადახურვის და ლიფტის შახტის კონსტრუქციების მოწყობა ნიშნულებში 38,00 – 40,49 მეტრი; აგრეთვე არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა.

კარკასის მზიდი კონსტრუქციების დასრულება-გაშრობის შემდეგ უნდა მოეწყოს სახურავის პარაპეტი წყალშემკრებ და წყალჩამომყვან სისტემასთან ერთად.

მეშვიდე-მერვე სართულების გადახურვის შემდეგ შესაძლებელია გარე და შიდა კედელების მსუბუქი ბლოკის წყობით ამოყვანა-შევსება. არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა;

შენობის აგებაზე სამუშაოთა ჩასატარებლად მიწისზედა სამუშაოების წარმართვა რეკომენდირებულია სტაციონალური კომკურა ამწის გამოყენებით.

XII ეტაპი ითავლისწინებს ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-ტექნიკური ქსელები მოწყობას, სამღებრო და მოსაპირკეთებელი სამუშოებს:

მშენებლობის მიმდევრობითი მეთოდებით წარმართვის თვალსაზრისით მერვე-მეცხე სართულების დახურვის შემდეგ ტექნოლოგიურად შესაძლებელია სხვა სამუშაოთა განშლაც, როგორიცაა საბათქაშო-მოსაპირკეთებელი, იატაკების მოწყობა, სამღებრო, პარალელურად უნდა წარიმართოს სანტექნიკური და ელექტროტექნიკური სამუშაოები. სუსტი დენების მონტაჟი, ხანძარსაფრთხოების ქსელები და ა.შ.

გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები ფასადის მოპირკეთებები უნდა შესრულდეს პროექტის მიხედვით მიდგმულ ვერტიკალური სახარაჩო სისტემის გამოყენებით.

XIII ეტაპი - არსებული #01/2 შენობის დაშლა-დემონტაჟი, მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობა, ობიექტის დასუფთავება და ექსპლუატაციაში ჩაბარების წინა სამუშოები.

ობიექტი ვერ ჩაბარდება ექსპლუატაციაში შენობის სრული დამთავრებისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა-გამწვანების გარეშე.

ბოლო თვეებში უნდა დაიგეგმოს ნაკვეთზე არსებული შენობის დაშლა-დემონტაჟი, ნაკვეთის კეთილმოწყობა, მთლიანი ობიექტის დასუფთავება მიმდევრობით და მომზადება ექსპლუატაციაში მისაღებად.

საკადასტრო გეგმით #01/2 სადემონტაჟო ნახევარსარდაფის მქონე ორსართულიანი შენობა განთავსებულია საპროექტო ნაკვეთის აღმოსავლეთ მხარეს, მისი გაბარიტული ზომებია გეგმაში 12,52X11,75 მეტრი, საერთო ფართობი შეადგენს 309,6 მ^2, კონსტრუქციული სიმაღლე 9,70 მეტრია, სამშენებლო მოცულობა 4047,8 მ^3. კონსტრუქციული თვალსაზრისით იგი მიეკუთვნება რკ.ბეტონის მონოლითური კარკასული ტიპის ხისტკავშირებიან შენობას. საძირკვლები, სართულშორისი გადახურვის ფილები და სვეტები-რიგელები არის მონოლითური რკ.ბეტონის. კედლები ამოშენებულია ბეტონის ბლოკებით, სახურავი თუნუქისაა ხის სანივნივე სისტემაზე მოწყობილი.

ამრიგად დასაშლელია ტერიტორიაზე მდგომი შენობა მთლიანად საძირკვლებთან ერთად, რის შემდეგაც უნდა მოხდეს ეზოს გასუფთავება სამშენებლო ნაგვისაგან და მოსწორება არსებული ღობის ფარგლებში.

სადემონტაჟო სამუშაოთა დაწყების წინ აუცილებელია არსებული ეზოს ფარგლებში დასაშლელი შენობის გარშემო არსებული ღობის

შენარჩუნება სამშენებლო ნაგვის გატანამდე, როგორც ეს ნაჩვენებია სამუშაოთა გენგეგმაზე.

დაშლა-დემონტაჟის პერიოდში სამუშაოები უნდა წარიმართოს განსაკუთრებული სიფრთხილით, სამშენებლო უსაფრთხოების წესების სრული დაცვით.

დაშლის წინ საექსპლოატაციო ორგანიზაციების მეთვალყურეობით საჭიროა წყალსადენის, კანალიზაციის, გაზსადენის, ელექტროქსელის და სხვათა ჩახსნა საქალაქო საინჟინრო კომუნიკაციებიდან სათანადო აქტების გაფორმებით.

- დაშლის პირველ ეტაპზე საჭიროა შენობის შიგთავსის გამოთავისუფლება: გათბობისა და წყალკანალიზაციის სისტემების დემონტაჟი, კარ-ფანჯრების მოხსნა, ტიხრების დაშლა, იატაკების აყრა, სამშენებლო ნაგვის შეგროვება ეზოს ტერიტორიაზე, თვითმცლელებში ჩაყრა და ტრანსპორტირება ნაგავსაყრელზე. შემდეგი ეტაპია ხის სანივნივე სისტემაზე მოწყობილი სახურავის ცალკეული ელემენტების დაშლა.

- კონსტრუქციული ელემენტების (კედლების, გადახურვის ფილების, კიბის მარშების და ბაქნების) დემონტაჟისას საჭირო გახდება სანგრევი ჩაქუჩებისა და ბოლგარკის ტიპის საჭრელი მოწყობილობების გამოყენება. ჩაჭრისას დიდ ელემენტებად საჭირო გახდება მათი დაჭერა მობილური ამწეების გამოყენებით, შემდეგ თვითმცლელი მანქანების ძარებში ჩაშვება და გატანა. მცირე ზომის ელემენტებად დაქუცმაცების პირობებში დაშვებულია ნარჩენების ზედა სართულიდან ეზოში რბილად ჩამოშვება, გადახურვებზე შეგროვებით, ბადიებში ჩაყრით და მობილური ამწის მეშვეობით ეზოში ჩამოშევებით, სასურველია იმავდროულად თვითმცლელებში ჩაყრა და გატანა. I სართულის გადახურვის დონიდან შესაძლებელია ეზოში ჩამოყრაც კონუსური ნაგავმატარის საშუალებით. შემდეგ კი საჭირო გახდება სამშენებლო

ნარჩენების თვითმცლელი მანქანების ძარებში ხელით ან ექსკავატორის ჩამჩით ჩაყრა და გატანა.

- ბოლო ეტაპია ბეტონითა და რკინაბეტონით ნაგები საძირკვლების დაშლა და ტერიტორიის გამოთავისუფლება სამშენებლო ნაგვისაგან, რომელიც უნდა შესრულდეს ამწეებისა და მიწის მთხრელი მანქანების გამოყენებასთან ერთად სანგრევი ჩაქუჩებით, პერფე-რატორებით და მექანიზაციის სხვა საშუალებებით.

შენობის ბეტონის ბლოკებით ამოშენებული კედლების დემონტაჟი სირთულეს არ წარმოადგენს, დემონტაჟის პერიოდში რეკომენდებულია სადგამი მაგიდების გამოყენება.

დაშლით-სადემოტაჟო სამუშაოები აუცილებელია განხორციელდეს მომქმედი სამშენებლო ნორმების, წესების და სახელმწიფო სტანდარტების (მათ შორის ელექტრო, ხანძარფეთქებადი და შრომის უსაფრთხოების) შესაბამისობით.

სამუშაოს დასრულების შემდეგ საჭიროა საძირკვლებისაგან დარჩენილი ღრმულებისა და ქვაბულების შევსება გრუნტით და ტერიტორიის მოსწორება.

დაშლითი სამუშაოები აუცილებელია განხორციელდეს მომქმედი სამშენებლო ნორმების, წესების და სახელმწიფო სტანდარტების (მათ შორის ელექტრო, ხანძარფეთქებადი და შრომის უსაფრთხოების) შესაბამისობით.

მშენებლობის მომარაგება მასალებითა და ნაკეთობებით ორიენ-ტირებულია ბაზარზე, ამავე დროს სამშენებლო ორგანიზაციას უნდა გააჩნდეს მძლავრი საწარმოო ბაზა და ამასთანავე უნდა იყოს დაკომპლექტებული მაღალი თანრიგის მუშებითა და შესაბამისი ინჟინერ ტექნიკური პერსონალით.

სამშენებლო ობიექტი ყოველდღიურად უნდა კონსტროლდებოდეს უსაფრთხოების ინჟინერის სპეციალისტების ქვეშ, საქართველოში მოქმედი უსაფრთხოების კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. ინტენსიურად უნდა მიმდინარეობდეს უსაფრთხოების კუთხით ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის გადამზადება.

სამუშაოთა მწარმოებელმა განუხრელად უნდა იხელმძღვანელოს დამტკიცებული საპროექტო დოკუმენტაციით, არქიტექტურულ, კონსტრუქციულ ან სხვა საპროექტო გადაწყვეტილებებში ცვლილებების თვითნებური შეტანა ავტორებთან შეთანხმებია და ნახაზების კორექტირების გარეშე დაუშვებელია, რაც უნდა მოხდეს დადგენილი წესით შესაბამისი ხელმოწერებით ავტორებისა და პროექტის მთავარი არქიტექტორის მხრიდან.

2. რეკომენდირებული სამშენებლო მანქანა-დანადგარები, მექანიზმები და ინსტრუმენტები

მშენებლობის ნორმების უწყვეტი რითმისა და ტექნოლოგიურობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მისი აღჭურვა თანამედროვე ტექნიკური სასუალებებით. მათი აღჭურვა თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით. მათი რეკომენდირებული ჩამონათვალი მოცემულია ცხრილში.

#	dasaxeleba	marka	raoden. cal
1	2	3	4
1	TviTmcveli, Zariani da specavtotransporti samSeneblo tvirTis Semosatanad	sxvada-sxva	4
2	eqskavatori CamCis tevadobiT 0,5 m^3 tevadobiT.	–	1
3	siRrmiTi vibratori	C-3698	2
4	zedapiruli vibratori	C -697	1
5	gadasatani kompresori	CO-45	1
6	cementis fenis mosasworebeli agregati	CO-89	1
7	Sesales-momasworebeli agregati	CO-54	1
8	mobiluri amwe saavtomobilo svlaze, sxvadasxva markis, icvlebian saWiroebis	-	1

	mixedviT		
9	eleqtroSesaduRebeli aparati	komp	2
10	avtogenuri SeduRebis aparati	komp	1
11	liTonis saxaraCo seqciebi 50 m² farTobisaTvis	komp	1
12	pnevmaturi instrumenti: saburRi, xraxn-damWeri da sxva	komp	6

- რეკომენდირებული მანქანა-დანადგარები და ინსტრუმენტ-მოწყობილობები შესაძლოა შეიცვალოს ანალოგიურით ან უფრო თანამედროვეთი.

3. მშენებლობაზე შრომისა და ელექტროუსაფრთხოების წესების დაცვა

მომუშავეთა შრომის უსაფრთხოების ღონისძიებები სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოების ყველა ეტაპზე უნდა იყოს დაცული თანახმად ,,სნ და წ 111-4-80 უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში და სხვა ნორმატიულ - საკანონმდებლო დოკუმენტების მითითებების შესაბამისობით. მათგან ყურადღება მახვილდება შემდეგზე: საქართველოში მოქმედი ,,მშენებლობის უსაფრთხოების წესები“ (დამტკიცებული საქართველოს მთავრობის 27.05.2014 წ. #361 დადგენილებით.) და სნ და წ. ნორმატიულ-საკანონმდებლო დოკუმენტების მითითებების შესაბამისობით.) კერძოდ:

3.1. სამუშაო ადგილები მუშაობის პირობებისა და ტექნოლოგიურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილ უნდა იყოს კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებებით.

3..2. ბეტონის ტუმბოს გამოყენებისას ნარევის მიწოდება და ჩასხმა ქარგილებში უნდა მოხდეს ერთ მეტრზე ნაკლები სიმაღლიდან.

3.3. ზედმეტი გრუნტის დატვირთვა ავტოთვითმცლელებზე უნდა წარმოებდეს გვერდიდან ან უკანა მხრიდან.

3.4. მშენებლობაში საჭიროა სერტიფიცირებული მასალების და ნაკეთობების გამოყენება მათი ტოქსიკურობის გათვალისწინებით დაშვებულ ნორმებში.

3.5. ადვილად აალებადი სამღებრო, საიზოლაციო და სხვა მასალების, აგრეთვე მომწამლავი ნივთიერებების დღიური რაოდენობა სამშენებლო სამუშაოთა წარმოების ზონაში არ უნდა აღემატებოდეს დღიურ მოთხოვნილებას.

3.6. საჰიდროიზოლაციო სამუშაოთა შესრულებისას, ლაქის წასმისას და ზოგიერთ სხვა სამუშაოზე მუშები უნდა იყენებდნენ სპეცტანსაცმელს, რესპირატორებსა და თავსაბურავებს.

3.7. საყალიბო ქარგილები დაყენების შემდეგ მოწმდება საიმედობაზე მათში ბეტონის ჩასხმამდე. ასევე მოწმდება ბადიის საიმედობაც და წესრიგიანობაც სამაგრების თვითგახსნა რომ არ მოხდეს.

3.8. მასალებისა და ნაკეთობების დასაწყობება უნდა მოხდეს მათზე ტექნოლოგიური მოთხოვნილებების პირობათა გათვალისწინებით. ამავე დროს ისინი უნდა დაეწყოს მოსწორებულ ადგილზე, რომ მათი მოცურებაც არ მოხდეს.

3.9. ელექტრო უსაფრთხოების წესები ჩამოყალიბებულია საქ. სტანდარტში 12.1.013-88. ელექტრო კარადა ყოველთვის უნდა იყოს ჩაკეტილ მდგომარეობაში, ელექტროკაბელები, ელექტროსადენები და მოწყობილობები კი იზოლირებული. გაშიშვლებული სადენების გამოყენება აკრძალულია.

3.10. იკრძალება ვიბრატორის სხვა ადგილას გადატანა მისი ელექტროქსელიდან გამორთვის გარეშე. სამუშაოს შესრულების შემდეგ ვიბრატორი სუფთავდება და მშრალად იწმინდება.

3.11. სამშენებლო მოწყობილობათა ჩართვა (საწეველები, საპრიალებელ-მოსახვეწი დანადგარები, ელექტრო შესადუღებელი აპარატები და სხვა) საბინაო ელექტროქსელში აკრძალულია. ელექტრო-ქსელის სამსახურის ტექზედამხედველობის სამსახურთან შეთანხმებით ნებადართული სატრანსფორმატორო ქვესადგურიდან უნდა მოხდეს სამწვერიანი ელექტროკაბელის შემოყვანა დახურულ კარადაში,

მრიცხველის დაყენება საიდანაც ძალოვანი და გასანათებელი სადენები გაიმართება მომხმარებლისაკენ.

3.12. ამწე საწეველების, ელექტროსაწეველას და სხვა მანქანა მექანიზ-მების მუშაობის პერიოდში მის ქვეშ ან სიახლოვეს უცხო და სამშენებლო ოპერაციებში დაუსაქმებელ პირთა ყოფნა აკრძალულია.

3.13. უცხო პირთა, აგრეთვე სამშენებლო ოპერაციებში დაუსაქმებელ მუშა-მოსამსახურეთა ყოფნა სამშენებლო მოედანზე და მის სიახლოვეს სახიფათო ზონაში დაუშვებელია. ავტოამწის მუშაობის დროს მოშორებით დგება მესიგნალე და აწესრიგებს როგორც ფეხმავალთა, ასევე ავტოტრანსპორტის მოძრაობას.

3.14. აუცილებელია შეზღუდვის საზღვრების მითითება დროებით ღობეზე და სხვა თვალსაჩინო ადგილებში ავტოტრანსპორტის მოძრაობის შემზღუდავი ფირნიშებთან ერთად და მათი განათების უზრუნველყოფა ღამის საათებში.

3.15. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის #477 დადგენილების „სიმაღლეზე მუშაოების უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ" აუცილებელია მიწისზედა სართულების ამოყვანისას შემდეგი ღონისძიებების გატარება:

- შენობის მეორე სართულის კონტურზე თუ კედლები შევსებული არ არის, აივნებისა და შენობის გარშემო კონტურის გასწვრივ დადგენილი კონსტრუქციული ფორმით არმატურის დგარებითა და ძელებით უნდა იყოს მოწყობილი გადავარდნისაგან დამცავი მოაჯირები **# 477** დადგენილების მუხლით **5-**ის მოთხოვნილებათა დაცვით;
- ასევე კიბის მარშებისა და ბაქნების გვერდულებიც უნდა დაცვათ დგარებად გამაგრებული არმატურის ღეროებისა და სახელურებით მოწყობილი დროებითი ჯებირებით დადგენილების **# 477**

მოთხოვნილებათა შესაბამისობით, მოაჯირები მათი სიმაღლეებით **120** სმ ფარგლებში.

- მუშები უნდა ატარებდნენ ჩაფხუტებს და ჩაცმულები იყვნენ ბრეზენტოვან სამუშაო სამოსში. სამშენებლო პროცესებში დასაქმებულ ადმინისტრაციულ პერსონალსაც თავზე უნდა ეხუროთ ჩაფხუტები.
- მოწყობილი უნდა იყოს სახანძრო სტენდი ცეცხლ-ჩამქრობებით და საჭირო ხელის იარაღებით.
- მავნე და ფეთქებადსაშიში მასალები ობიექტზე უნდა ინახებოდეს სპეციალურად დაცულ სათავსოში.
- სართულებზე წყალკანალიზაციის მილების ჩასაწყობად დატოვებული ღიობები გადახურული უნდა იყოს ხის ფიცრული ხუფებით.

3.16. ასევე სამშენებლო მოედანზეც უნდა მოეწყოს გამაბრთხილებელი ნიშნები და დაცული უნდა იყოს ნორმატივები მომუშავეთა ყოფნის, გადაადგილების გათვალისწინებით მობილური ამწის მუშაობის პერიოდში, მეორე სართულის კიდეებზე მუშაობისას შენობის მოშორებით იდგმება და იჭიმება ლენტი და ა.შ. თანახმად საქართველოს **M**მთავრობის **2014** წლის **27** მაისის დადგენილებისა **# 361 „**მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ

4. მომუშავეთა და ფეხმავალთა უსაფრთხოება კოშკურა ამწის მუშაობის პერიოდში

4.1. უცხო პირთა, აგრეთვე სამშენებლო ოპერაციებში დაუსაქმებელ მუშა-მოსამსახურეთა ყოფნა სამშენებლო მოედანზე და მის სიახლოვეს სახიფათო ზონაში დაუშვებელია. ამწის მუშაობის დროს დგება მესიგნალე და აწესრიგებს როგორც ფეხმავალთა, ასევე ავტოტრანსპორტის მოძრაობას.

4.2. ისრის ტრიალი მშენებარე შენობის გარეთ იზღუდება ნახაზზე მითითებულის ფარგლებში. ტვირთის აწევა გადახურვამდე

უნდა მოხდეს ავტოტრანსპორიდან შენობის ვერტიკალის გასწვრივ, შემდეგ გადახურვის თავზე გადავლებით სამუშაო ადგილამდე მიტანა, დაშვება და განტვირთვა.

4.3. იკრძალება ისარზე ჩამოკიდებული ტვირთით ისრის შემობრუნება ქუჩის და სამეზობლო ნაკვეთების მხარეს, ცხადია ისრის ტრიალიც ღერძის გარშემო.

4.4. სამუშაოთა წარმოების უწყვეტობისა და ტექნოლოგიურობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მშენებლობის აღჭურვა ჩამოთვლილი მანქანა-მექანიზმებით, ინსტრუმენტებითა და დანადგარსამარჯვებით.

5. ეკოლოგია და ბუნების დაცვის საკითხები

5.1. მშენებლობის პროცესში აუცილებელია განხორციელდეს სპეციალური ღონისძიებები მიმდებარე ტერიტორიის დამტვერიანების თავიდან ასაცილებლად.

5.2. საბათქაშო და მოსახვითი სამუშაოების შესრულების პერიოდში ფასადებს საჭიროა ჩამოეფაროს ფარდა, რათა ამ შემთხვევაშიც არ მოხდეს მტვირს გაბნევა სელიტებულ ზონაში.

5.3. დაუშვებელია არსებული საკანალიზაციო ჭებში ბეტონის და ხსნარ-მილსადენების ჩარეცხვა ან მათი დანაგვიანება სამშენებლო ნარჩენებით.

5.4. ასევე არსებული საკანალიზაციო ქსელის პირობებში მიზანშეწონილად ვერ ჩაითვლება დროებითი ტუალეტის მოწყობა ამოსახაპ ორმოზე. მათი დროებითი ჩართვაც სასურველია საკანალიზაციო კოლექტორში.

5.5. ზემოთ მითითებული დებულებებიდან გამომდინარე მშენებლობა უნდა განხორციელდეს ბუნების დაცვითი და ჰაერის გაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებების დაცვით მომქმედი საკანონმდებლო აქტებისა და ნორმატული დოკუმენტების შესაბამისობით.

სამშენებლო გენგეგმა



ექსპლიკაცია: **1.** მშენებარე მრავალფუნქციური შენობა; **2.** საკადასტრო წითელ ხაზი; **3.** სამშენებლო დროებითი ღობე, მიჰყვება საკადასტრო წითელ ხაზს; **4.** არსებული კაპიტალური ღობე; **5.** სამშენებლო შესასვლელი ავტოჭიშკარი; **6.** საჭიროების შემთხვევაში ლამბერტის ქუჩის მხრიდან დროებით ღობეში მოეწყოს სამშენებლო ავტოჭიშკარი; **7.** სადემონტაჟო შენობა; მშენებლობის პერიოდში სადემონტაჟო შენობა საჭიროებისამებრ გამოყენებული იქნას საპრარაბო და საყოფაცხოვრებო დანიშნულების სათვასებად, აღნიშნულ შენობაშივე მოეწყობა სველი წერტილები, ხოლო მისი დემონტაჟი განხორციელდეს მშენებლობილის დასრულების ბოლო ეტაპზე; **8.** მშენებლობის დაძაბულ პერიოდში მომუშავეთა ნამატი რაოდენობისთვის გათვალის-წინებული საყოფაცხოვრებო დანიშნულების სათავსი; **9.** სამეურნეო სათავსი; **10.** დაცვის ჯიხური. **11.** მასალა-ნაკეთობათა დროებით განსათავსებელი ღია სასაწყობო მოედანი; **12.** საჭიროების მიხედვით, სატვირთო ავტომანქანის, პომპის, თვითმცლელის და სხვათა დგომის ადგილი; **13.** ავტოტრანსპორტის სამოძრაო გზის მონაკვეთები პერიოდულად მოხრეშოს; **14.** სტაციონალური კომკურა ამწე ისრის შვერით **30** მ, ტვირთამწეობით 2-4 ტონა; **15.** მონიჯნავე ნაკვეთები; **16.** სამანქანო გზა (სტრაბონის ქუჩა); ობიექტზე მისასვლელი მირიან მეფის ქუჩიდანაა.

ქ. თბილისი, დიდი დიღომი, არქანჯელო ლამბერტის ქ. #31 ნაკვეთზე ს.კ. #01.72.14.040.817 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის შენებლობაზე და არსებული შენობის სადემონტაჟო სამუშაოთა განხორციელების კალენდარული გრაფიკი დარჩენილ სამუშაოთა დასრულებაზე კორექტირებული პროექტის მიხედვით

სამუშაოთა ხანგრძლივობა 24 თვე ანუ 720 სამუშაო დღე

ეტაპები	მშენებლობის განხორციელების რიგები და ეტაპები	ხანგრძლივობა დღეებში	თვეები და სამუშაო დღეები																								
			1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	
			30	60	90	120	150	180	210	240	270	300	330	360	390	420	450	480	510	540	570	600	630	660	690	720	
	II რიგის სამუშაოები																										
VIII	კარკასის მზიდი კონსტრუქციების და კიბის უჯრედების ელემენტების მოწყობა მონოლითური რკინაბეტონით ნიშნულებში 18,90 – 25,20 მეტრი;	90		90																							
IX	კარკასის მზიდი კონსტრუქციების და კიბის უჯრედების ელემენტების მოწყობა მონოლითური რკინაბეტონით ნიშნულებში 25,20 – 31,50 მეტრი;	90					90																				
X	კარკასის მზიდი კონსტრუქციების და კიბის უჯრედების ელემენტების მოწყობა მონოლითური რკინაბეტონით ნიშნულებში 31,50 – 38,00 მეტრი;	90								90																	
XI	სახურავის, გადახურვის და ლიფტის შახტის კონსტრუქციების მოწყობა ნიშნულებში 38,00 – 40,49 მეტრი; აგრეთვე არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა.	450												450													
XII	ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-ტექნიკური ქსელების და კომუნიკაციოების მოწყობაა; სამღებრო და მოსაპირკეთებელი სამუშოები	480																480									
XIII	არსებული #01/2 შენობის დაშლა-დემონტაჟი, მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობა, ობიექტის დასუფთავება და ექსპლუატაციაში ჩაბარების წინა სამუშოები.	150																						150			
	სამშენებლო ნაგვის გატანა	720	საჭიროების მიხედვით																								

მითითებები: **1**. მშენებლობა დაწყებულია ქ. თბილისი მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემული ბრძანების 2021 წლის 04 ოქტომბერს გაცემული ბრძანების №5620276 საფუძველზე, შესრულებულია შეთანხმებული კალენდარული გრაფიკით გაწერილი სამუშაოების ნაწილი, კერძოდ პირველი რიგის სამუშაოების I და II ეტაპი და მეორე რიგის სამუშაოების III; IV; V ; VI და VII ეტაპი, ვინაიდან შეთანხმებულ პროექტში მოხდა კორექტირება კალენდარული გრაფიკიც ცალკეული ეტაპების მიხედვით შედგენილია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების მე-20 მუხლის შესაბამისობით დასასრულებელი და დარჩენილი სამუშაოების გაწერით.

2. კალენდარული გრაფიკის მიხედვით თვეში 30 სამუშაო დღეა, მშენებლობის დასრულება უნდა მოხდეს 24 თვის ანუ 720 სამუშაო დღის პერიოდში. კალენდარულ გრაფიკში აღნიშნული 1 თვე შეცვალოს სამუშაოთა დამტკიცებული დაწყება-დასრულების თვეების მინიშნებთ;

3. კალენდარულ გრაფიკში გათვალისწინებული სამუშაოები არ ნიშნავს მათ დღეებში გაჭიანურებას. მონიშნულია მათი შესრულების პერიოდები შეყოვნებების გათვალისწინებით. სამუშაოებში ერთვებიან სხვადასხვა ბრიგადები და ნაკადური მეთოდებით აწარმოებენ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს.

4. კალენდარული გრაფიკით სამ თვეში წარმოებს ორი სართულის კარკასის და სხვა მზიდი მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციების ამოყვანა გადახურვის მოწყობით;

5. სამუშაოები აუცილებელია წარიმართოს შრომის, ელექტრო, ხანძარ-უსაფრთხოებისა და ბუნები დაცვითი ღონისძიებების გათვალისწინებით თანახმად საქართველოს მომქმედი სამშენებლო კანონმდებლობისა.

შეადგინა ინჟ: ნ. მურჯიკნელი